Ab Architectural Bureau

შპს „არქიტექტურული ბიურო
ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. 95, 0102 I ტელ: +995 32 218 36 43 I ტელ/ფაქსი: +995 32 295 78 38
e-mail: office@arch-bureau.com I web: www.arch-bureau.com

რეკვიზიტები;
შპს „არქიტექტურული ბიურო“
ს/კ - 404 393 483
მის: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. #95, 0102

მიმღები ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
საბანკო კოდი: TBCBGE22
მიმღების დასახელება: შპს „არქიტექტურული ბიურო“
ანგარიშსწორების ანგარიში: GE62 TB78 8623 6050 1000 01

დირექტორი:

მიხეილ ბალიაშვილი

Ab
404393483

Ab Architectural Bureau

შპს „არქიტექტურული ბიურო
ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. 95, 0102 I ტელ: +995 32 218 36 43 I ტელ/ფაქსი: +995 32 295 78 38
e-mail: office@arch-bureau.com I web: www.arch-bureau.com

საპროექტო სამუშაოების განფასების ცხრილი					
#	სამუშაოთა ჩამონათვალი	განზ.	მ²	ღირებულება	ჯამი
1	არქიტექტურული მუშა პროექტი	მ²	1944	9.26	18000
2	კონსტრუქციული პროექტი	მ²	1944	1.03	2000
3	გეოლოგიური კვლევა (აუცილებლობის შემთხვევაში)	მ²			0
4	სანტექნიკური პროექტი	მ²	1944	0.36	700
5	გათბობა-გაგრილების პროექტი	მ²	1944	0.67	1300
6	აუზის წყლის გათბობისა და ფილტრაციის პროექტი	მ²	1944	0.49	950
7	ვენტილაციის პროექტი	მ²	1944	0.28	550
8	ელ. ტექნიკური პროექტი	მ²	1944	0.62	1200
9	სუსტი დენების პროექტი				
	ა. სახანძრო სიგნალიზაცია	მ²	1944	0.31	600
	ბ. სადამკვირვებლო კამერები	მ²	1944	0.10	200
	გ. სატელეფონო ქსელი	მ²	1944	0.10	200
	დ. სატელევიზიო ქსელი	მ²	1944	0.10	200
	ე. კომპიუტერული ინტერნეტ ქსელი	მ²	1944	0.10	200
10	მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი	მ²	1944	0.10	200
11	მშენებლობის საორიენტაციო ხარჯთარიცხვა	მ²	1944	0.51	1000
	პირდაპირი ხარჯები				27300
	საშემოსავლო		20%		6825
	ჯამი				34125
	ზედნადები ხარჯები		12%		4095
	ჯამი				38220
	გეგმიური დაგროვება		10%		3822
	ჯამი				42042
	დ.ღ.გ.		18%		7567.56
	ჯამი				**49609.56**

დირექტორი
მიხეილ ბალიაშვილი

Ab
404393483

Ab Architectural Bureau

შპს „არქიტექტურული ბიურო
ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. 95, 0102 I ტელ: +995 32 218 36 43 I ტელ/ფაქსი: +995 32 295 78 38
e-mail: office@arch-bureau.com I web: www.arch-bureau.com

განმარტებითი ბარათი

საპროექტო ობიექტი მდებარეობს ზემო ფონიჭალაში, და წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციიების ცენტრის ტერიტორიაზე არსებულ დახურული საცურაო აუზის შენობას.

შენობა ორსართულიანია და მისი საერთო ფართობი შეადგენს 1944 მ2-ს. არსებული შენობა ბოლო წლების განმავლობაში არ ფუნქციონირებს თუმცა „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს მიერ შესრულებული საექსპერტო დასკვნის მიხედვით, შენობის ტექნიკური მდგომარეობა შეფასებულია დამაკმაყოფილებლად და შენობის შემდგომი ექსპლოატაცია შესაძლოა აღდგენითი-სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ.

წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს არსებული შენობის ადაპტაციას საპროექტო დავალებაში მითითებული სათავსებისათვის, როგორც ინტერიერის ასევე ექსტერიერის ნაწილში.

ინტერიერი:

პროექტის მიხედვით შენობაში განთავსდა შემდეგი სათავსები:

<u>1 სართული</u>
სპორტული ოთახი
ინსტრუქტორის ოთახი
მაგიდის ჩოგბურთის ოთახი
სამედიცინო მომსახურების ოთახი
მომსახურე პერსონალის ოთახი
სათავსო სპეც ინვენტარისთვის
მენეჯერის ოთახი
საკუჭნაო დამლაგებლისთვის

<u>2 სართული</u>
საცურაო აუზი
მამაკაცთა გასახდელი და საშხაპე
ქალთა გასახდელი და საშხაპე
საჭიდაო დარბაზი
კრივის ოთახი
სპორტული ოთახი

კიბის უჯრედი

არსებულ შენობაში კიბის უჯრედები განთავსებული იყო დერეფნის ბოლოებში, მარცხენა და მარჯვენა მხარეს. პროექტით გადაწყდა არსებული (დანგრეული) კიბის უჯრედების ნაცვლად ახალი კიბის უჯრედის გაჩენა შენობის ცენტრალურ ნაწილში - ფოიეში, რომლის საშუალებითაც ბევრად უფრო მოსახერხებელი იქნება კავშირი სართულებს შორის.

1 სართული

პირველი სართულის ფოიეს იატაკის ნიშნული იყო 90 სმ-ით ნაკლები ვიდრე დერეფნების იატაკის ნიშნული. შესაბამისად შენობის ერთი ნაწილიდან მეორე ნაწილში მოსახვედრად ადამიანს უწევდა 6 საფეხურის ჯერ ქვევით ჩასვლა, შემდეგ ზემოთ ასვლა რაც წარმოადგენდა გარკვეულ დისკომფორტს. პროექტის მიხედვით გადაწყდა ფოიეს გარკვეული ნაწილის იატაკის ნიშნულის 90 სმ-ით აწევა და მისი გათანაბრება დერეფნების ნიშნულთან, რამაც უფრო მოსახერხებელი გახადა კავშირები შენობის სხვადასხვა წერტილებს შორის. ფოიეს ცენტრალურ ნაწილში განთავსდა რეცეფციის დახლი, სადაც შეიძლება განთავსდეს დაცვის თანამშრომელი და ადმინისტრატორი. ფოიეს უკანა ნაწილის იატაკი დარჩა არსებულ დონეზე სადაც განთავსდა მაგიდის ჩოგბურთის ოთახი.

შენობის მარცხენა ნაწილში განთავსდა სპორტული ოთახი თავისი გასახდელით, რომლის წინაც განთავსდა ინსტრუქტორის ოთახი და სამედიცინო მომსახურების ოთახი. შენობის მარჯვენა მხარე დაეთმო ადმინისტრაციას, მენეჯერს, მომსახურე პერსონალს და სპეც ინვენტარის შესანახ სათავსებს.

2 სართული

საპროექტო დავალების მიხედვით მოერე სართულის ცენტრალურ ნაწილში, მცირე აუზის ადგილას უნდა განთავსებულიყო საჭიდაო დარბაზი (ტატამი) რომლის სტანდარტული ზომებიც არ იძლევა მის ამ ადგილას განთავსების საშუალებას. შესაბამისად გადაწყდა ტატამის განთავსება შენობის მარჯვენა უკიდურეს ნაწილში სადაც არსებული სივრცე უფრო მეტად აკმაყოფილებს ტატამის ზომების მოთხოვნებს, თუმცა მაინც არ ჯდება არსებულ სტანდარტულ ზომებში. იგივენაირად, შენობის უკიდურესი მარცხენა სივრცე დაეთმო კრივის ოთახს რინგით.

ცენტრალური ნაწილი კი დაეთმო გასახდელებსა და საშხაპეებს, რომლიდანაც მოხვედრა ხდება როგორც აუზის მიმართულებით, ასევე ჭიდაობისა და კრივის დარბაზებში და ძალოსნობის დარბაზშებში.

კონსტრუქციული ნაწილი

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა განიცდის შემდეგ ცვლილებებს. პირველ სართულზე არ ხდება არც ერთის საყრდენი კედლის დემონტაჟი. სართულშუა გადახურვის ფილა ამოივსება მონოლითური რკინა ბეტონის ფილით ყოფილი კიბის უჯრედების ადგილას. ახალი კიბის უჯრედის ადგილას ხდება არსებული სართულშუა გადახურვის გაჭრა. მეორე სართულის დონეზე ხდება გარკვეულ მონაკვეთებში საყრდენი კედლების დემონტაჟი და მათი ჩანაცვლება ლითონის ან რკინაბეტონის რიგელებით (დაზუსტდება მუშა პროექტის დამუშავების პროცესში)

ექსტერიერი

ფასადის ნაწილში გადაწყდა შენობის ძირითად ნაწილში მხოლოდ კოსმეტიკური სახით ჩარევა და ძირითადი ცვლილების შეტანა მხოლოდ მთავარი ფასადის შესავლელის ნაწილში. ასევე მცირე ცვლილებას განიცდის მთლიანად მთავარი ფასადი, მეორე სართულის დონეზე ახალი ღიობების გაჭრის სახით. რაც შეეხება შესასვლელი ნაწილის ცვლილებას, პროექტით გათვალისწინებულია მსუბუქი ლითონის კონსტრუქციების გაჩენა და მისი შეფუთვა წყალმედეგი ხის მასალით. ამ სახით ხდება შენობის გათანამედროვება და შესასვლელის აქცენტირება.

პროექტის მთავარი არქიტექტორი
ოთარ ხოფერია

Ab
404393483

Ab Architectural Bureau

შპს „არქიტექტურული ბიურო
ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. 95, 0102 I ტელ: +995 32 218 36 43 I ტელ/ფაქსი: +995 32 295 78 38
e-mail: office@arch-bureau.com I web: www.arch-bureau.com

ინფორმაცია მომსახურების გაწევის ვადების შესახებ

შპს „არქიტექტურული ბიურო“ იღებს ვალდებულებას შეასრულოს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები, ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 კალენდარულ დღეში.

დირექტორი:

მიხეილ ბალიაშვილი

Ab
404393483